



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჯ ო

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07-01\67

ქ. ბათუმი

13 მარტი, 2020 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის № 01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის, მერაბ დიასამიძის 2020 წლის 03 მარტის MES 7 20 00268686 სამსახურებრივი ბარათის, ბსუ-ს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 17 დეკემბრის N07-01/59 გადაწყვეტილების საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გადაწყვიტა:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 07 ნოემბრის №01 გადაწყვეტილებაში შევიდეს ცვლილებები, კერძოდ, დანართი 1-სი (წესის):

ა) პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ („ჩვეულებრივი სტიპენდია ფრიადოსნისთვის) და „გ“ („ჩვეულებრივი სტიპენდია კარგოსნისათვის“) ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს;

ბ) პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ექვსი თვის (შემოდგომის სემესტრისათვის - სექტემბრიდან მომდევნო წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის - მარტიდან აგვისტოს ჩათვლით) პერიოდისათვის.“;

გ) პირველი მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ე) თუკი შესაბამისი პერიოდისათვის გასაცემის მიზნით უკვე დანიშნული აქვს ბსუ-ს სამართლებრივი აქტით რომელიმე სახის სტიპენდია;“;

დ) პირველი მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 8. სტუდენტს ერთდროულად ორი სახის სტიპენდია ბსუ-ს ბრძანებით არ ენიშნება (თუკი დანიშნული აქვს რომელიმე სახის სტიპენდია, მასზე სხვა სახის სტიპენდიის გაცემის ბრძანება არ გამოიცემა/სტიპენდია არ გაიცემა და წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე მოხდება სამართლებრივ აქტებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა).“;

ე) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „პირველესემესტრელის სტიპენდიების“ დანიშვნის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველია ფაკულტეტების დეკანების მიერ სტიპენდიანტების კანდიდატების შესახებ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათები. სასწავლო სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში წარმოდგენილი ბარათები უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: კანდიდატების სახელი, გვარი; პირადი ნომერი; გაფორმებული ხელშეკრულების ნომერი; ბსუ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი; შესაბამისი წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე და მეოთხე (დამატებით) გამოცდაზე მის მიერ მიღებული სკალირებული ქულა; ბსუ-ში სტუდენტის სტატუსის (აკადემიური/ადმინისტრაციული რეგისტრაციის) შესახებ ინფორმაცია.“

2. წინამდებარე ცვლილებების გათვალისწინებით „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის“ კონსოლიდირებული ვერსიის მომზადება დაევალოს ბსუ-ს იურიდიულ დეპარტამენტს.
3. წინამდებარე გადაწყვეტილების და კონსოლიდირებული წესის ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. გადაწყვეტილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და იურიდიულ დეპარტამენტს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

დავით ბარათაშვილი